



ევროკავშირისა და საქართველოს ერთობლივი  
პროექტი ინტელექტუალური საკუთრების შესახებ



@SCHOOL

## ინტელექტუალური საკუთრება (IP) განათლებაში

## ინტელექტუალური საკუთრების დღის აქტივობები

შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში



პროექტი დაფინანსებულია ევროკავშირის მიერ და მას ახორციელებს ევროკავშირის  
ინტელექტუალური საკუთრების უწყება (EUIPO)

## შემოქმედებითი აქტივობები საკლასო ოთახში

<p><b>აქტივობის შესახებ</b></p>	<p>შემოქმედებითობა/კრეატიულობა არის უნარი, რომლის დაუფლებაც შესაძლებელია ბავშვის ზრდასა და განვითარებასთან ერთად. საჭიროა მისი წახალისება და გამომუშავება სასკოლო გარემოში. აქ წარმოდგენილია რამდენიმე რჩევა საკლასო ოთახში შემოქმედებითი სავარჯიშოების ინტეგრირებისთვის. გამოიყენეთ 21-დღიანი კრეატიულობის აქტივობათა დღიური შემოქმედებითობის სტიმულირებისთვის.</p>
<p><b>ასაკი</b></p>	<p>აქტივობები: 8-17 წელი შემოქმედებითი დღიური: 9-14 წელი</p>
<p><b>განრიგი</b></p>	<p>მოქნილი, სასკოლო ვითარებასა და მასწავლებლის სამუშაო გეგმაზე მორგებული</p>
<p><b>მიზანი</b></p>	<p>უზრუნველყოს მასწავლებლები კრეატიულობასა და ინტელექტუალურ საკუთრებაზე ორიენტირებული საინტერესო დავალებებით, სასარგებლო რჩევებით და მოსწავლეებთან განსახორციელებელი აქტივობებით</p>
<p><b>სწავლის შედეგები</b></p>	<p>მოსწავლეები შეიტყობენ:</p> <ul style="list-style-type: none"> <li>როგორ იცავს ინტელექტუალური საკუთრების სხვადასხვა უფლება შემოქმედებით ნამუშევარს;</li> <li>რა როლს თამაშობს ინტელექტუალური საკუთრება მათი, როგორც ინტელექტუალური მასალის შემქმნელების ყოველდღიურ ცხოვრებაში;</li> <li>რა ხერხები არსებობს ინტელექტუალური საკუთრების დასაცავად და როგორ ვიყენებთ მათ პრაქტიკულ სიტუაციებში.</li> </ul> <p>21 დღის განმავლობაში კრეატიული დავალებების აქტიურად შესრულების კვალდაკვალ, კრეატიული დღიური ხელშეხმება ცვლილებებს გამოიწვევს მოსწავლეთა სააზროვნო ჩვევებში.</p>
<p><b>კომპეტენციები</b></p>	<ul style="list-style-type: none"> <li>წიგნიერების კომპეტენცია</li> <li>კულტურული გაცნობიერებულობისა და გამახატვის კომპეტენცია</li> <li>მოქალაქეობის კომპეტენცია</li> <li>პერსონალური, სოციალური და სწავლის სწავლის კომპეტენცია</li> <li>სამეწარმეო კომპეტენცია</li> </ul>
<p><b>მომზადება</b></p>	<p>კრეატიული დღიური შეიძლება შეივსოს კლასში ან შინ, როგორც ცალკეული სამუშაო ფურცლების, ისე ერთიანი პროექტის სახით. მოსწავლეებთან კრეატიულ დღიურზე მუშაობის დაწყებამდე მასწავლებლები უნდა გაეცნონ ინტელექტუალური საკუთრების ძირითად უფლებებს.</p>

## რა შეიძლება მასწავლებლებმა აკეთონ მოსწავლეებში შემოქმედებითობის გასავითარებლად? აი, რამდენიმე კარგი იდეა...

კრეატიულობის გადაქცევა ყოველდღიურ მიზნად	მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლა თანამშრომლობით „სასწავლო ზონებში“	შემოქმედებითობის წარმოჩენა პოზიტიურ მოვლენად
საკლასო ოთახში მერხების განლაგების მოქნილად ცვლა	არასტანდარტული სასწავლო მასალების გამოყენება	მიზნების მკაფიოდ განსაზღვრა მათი შესრულების ვადების მითითებით
დისკუსიების წახალისება	პრაქტიკული სწავლების ჩართვა	მოსწავლეთა დაჯილდოება და აღიარება მათი მოტივაციის გასაღვივებლად
მეტი ფერის გამოყენების წახალისება	ვიზუალური რეფლექსიისთვის სივრცის გამოყოფა	ნუ შეზღუდავთ დავალებას ერთადერთი ფორმატით

## ყინულის გაღობის აქტივობები კრეატიულობისა და იდეების გენერირებისათვის

### დათვალეთ 15-მდე

მარტივი ჯგუფური სავარჯიშო

სთხოვეთ ჯგუფის წევრებს, წრეზე დადგნენ, პირით ცენტრისკენ. თუ ჯგუფში 15-ზე მეტი მონაწილეა, შექმენით ორი წრე.

ახსენით ქვემოთ მოცემული წესები.

1. ჯგუფის წევრები ხმამაღლა „დაითვლიან“ 1-დან 15-მდე არეული თანმიმდევრობით. ზედა რიცხვი შეგიძლიათ შეცვალოთ მონაწილეთა რაოდენობის მიხედვით. არ შეიძლება დასახელებული რიცხვის მომდევნო რიცხვის წარმოთქმა.
2. მხოლოდ ერთ წევრს შეუძლია თითო რიცხვის წარმოთქმა. თუ ორი წევრი ერთდროულად წამოიძახებს, ჯგუფი თავიდან იწყებს.

ვარიაციები: თუ ჯგუფში 15-ზე მეტი მონაწილეა, შესაძლებელია, რომ სავარჯიშოს ეთიშებოდნენ ის მონაწილეები, რომლებიც ერთდროულად დაასახელებენ რიცხვს. კიდევ ერთი, უფრო რთული ვარიანტის მიხედვით, შეგვიძლია მონაწილეებს თვალების დახუჭვა ვთხოვოთ.

ვარიაცია: თუ მონაწილეთა რაოდენობა 15-ზე მეტია, შეიძლება, სავარჯიშო ცოტა უფრო გაართულოთ იმით, რომ მონაწილეებს სთხოვოთ, სავარჯიშოს შესრულებისას თვალები დახუჭული ჰქონდეთ. დასრულების შემდეგ განიხილეთ თამაში ჯგუფთან.

- რა გაგიძნელდათ?
- ვინ იღებდა ინიციატივას?
- რა სტრატეგია შეარჩიეთ?
- როგორ შეძელით სავარჯიშოს შესრულება?

### მსოფლიოს უძველესი კრეატიულობის აქტივობები

კრეატიულობის განვითარების მარტივი გზა

აიღეთ ტანსაცმლის საკიდი ან რომელიმე სხვა მარტივი ყოველდღიური საგანი. სთხოვეთ ჯგუფს/ჯგუფებს, 5 წუთის განმავლობაში მოიფიქრონ ამ ნივთის გამოყენების რაც შეიძლება მეტი ვარიანტი.

ვინ მოიფიქრა ყველაზე მეტი?

ამ სავარჯიშოში რაოდენობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე ხარისხი.

განიხილეთ სავარჯიშოს შედეგები მოსწავლეებთან.

### ყოველდღიური პრობლემები

სიტყვებით თამაში კარგი იდეების გენერირებაში გვეხმარება

1. დაყავით ჯგუფი 3 ან 4-წევრიან გუნდებად. ყველა გუნდიდან თითო წევრი ჩანიშნებს გააკეთებს.
2. გუნდები იწყებენ დაახლოებით 20 შემთხვევით შერჩეული არსებითი სახელის სიის შედგენას. არ არის აუცილებელი, რომ სიტყვები ერთმანეთს უკავშირდებოდეს.
3. სთხოვეთ გუნდებს, დახედონ სიტყვების სიას. გუნდის თითოეული წევრი ერთ სიტყვას ირჩევს სიიდან.
4. დაუთმეთ 3 წუთი თითო შერჩეულ სიტყვას და დასვით შემდეგი შეკითხვა: შეგიძლიათ მოიფიქროთ ამ სიტყვასთან დაკავშირებული ყოველდღიური პრობლემები? მაგალითად, ავიდოთ სიტყვა „კატა“.

- ბავშვების სათამაშო ქვიშის ყუთს ტუალეტად იყენებს;
- დამღამობით ხმაურობს.

შენიშვნა: კრიტიკული შენიშვნების გარეშე ჩამოწერეთ ყველაფერი, რასაც მოსწავლეები გამოთქვამენ.

შეიძლება კარგი იდეა იყოს, რომ ჯგუფის ყველა წევრმა განსხვავებული პრობლემა შეარჩიოს.

5. დაუთმეთ 3-3 წუთი თითოეულ პრობლემას და მათი გადაჭრის შესაძლო გზების განხილვას.



ჩამოტვირთეთ კრეატიულობის დღიური ამ ბმულებიდან:

<https://ideaspowered.eu/en/our-projects/ideaspowered@school/follow-up> <https://euipoef.eu/en/eu-gipp/activities/ip-education>

# შენიშვნები

Blank lined area for notes, consisting of 20 horizontal dotted lines.



დამატებითი ინფორმაციის მისაღებად და მასალების ჩამოსატვირთად ეწვიეთ ვებგვერდს: [www.ideaspowered.eu](http://www.ideaspowered.eu)  
ან გაგზავნეთ წერილი მისამართზე: [IPinEducation@euipo.europa.eu](mailto:IPinEducation@euipo.europa.eu)

